№7 (162) 2000 წ. 25 თებერვალი — პარასკევის გამოშვება — 30 თეთრი

# ფანტაზია 2000



## ახალი რუბრიკა

# Laetitia Casta

ფოტო-მოდელების სამყაროში

(მე-16 გვერდი)

**აფორიზმების ანთოლოგიის ახალი რუბრიკა**

მილიონერი ეს არის კაპიტალისტური შრომის გმირი.

მე-8 გვერდი

## ახალი

**კაპრიზი თუ....**

**მორიგი იაპონური სასწაული**





## ახალი

თემა მომავალი ნომრებისათვის

ფრაზები - ცნობილი კომიკოსებისგან



რეიტინგი ფაზისი 2000

№7 (162)



1. ტიტული, რომლიითაც ქართველ-ნა ხალხმა ერთ-ერთი თავისი მეფე გიორგი დაასაჩუქრა (**3**). 2. წვის პროდუქტი, რომელიც ყველაზე ცნობილი ქართული ზღაპრის სამოქმედო არეალში არ შედიოდა (**3**). 3. თანამედროვე ნორვეგიელი ფეხბურთელი (**5**). 4. ცნობილი ქუთაისელი ფეხბურთელი, რომელსაც პენალტის დარტყმას უბრძანებდა გულშემატკივარი მსაჯის ნებართვის გარეშე (**6**). 5. რა არის ერდო თავის არსით? (**2**) 6. ფიგურულ სრიალში აუცილებელი ვარჯიშების შესრულების ზოგადი სახელი (**6**). 7. სხეულის ნაწილი, რომელიც უახლოესი ნათესაური კავშირის სიმბოლოდ იქცა (**2**). 8. მჭედლის სამუშაო ინვენტარი (**4**). 9. დასვენების დღე მუსლიმანურ სამყაროში (**4**). 10. ცნობილი ლენინგრადელი ფეხბურთელი და მწვრთნელი (**8**). 11. მხოლოდ მინის ნაწარმთან დაკავშირებული სიტყვა (**3**). 12. ცნობილი ქართველი ქორეოგრაფი, საცეკვაო ანსამბლის ხელმძღვანელი (**5**). 13. სტალინის როლების შემსრულებელი პირველი ქართველი მსახიობი (**6**). 14. მახლობელი აღმოსავლეთის უძველეს ბინადართა მოძულეობის პოლიტიკა (**6**). 15. მანძილის საზომი ერთეული, რომელიც პოპულარული ფანტასტიური ნაწარმოების სათაურის ორიგინალშია დაფიქსირებული (**5**). 16. რუსი დრამატურგი, ავტორი პიესისა „მარტოობის დღესასწაული“ (**6**). 17. სახელმწიფო, რომლის სახელი უდიდეს ისტორიულ პირთანაა გაიგივებული (**5**). 18. ქალაქი, სადაც ერთხელ ტრიფონი გაემგზავრა (**5**). 19. უმაღლესი თანამდებობის პირი ძველ საბერძნეთში (**10**). 20. შევამოწმოთ თქვენი მეხსიერება – ცნობილ სერიალში – „რვაფეხა“ – კომისარ კატანისთან დაპირისპირებული ერთ-ერთი ბანკირი (**10**). 21. გრიბოედოვისეული პერსონაჟი (**8**). 22. მე-18-19 საუკუნეების ინგლისელი დრამატურგი, სატირული კომედიების ავტორი (**7**). 23. ჰოლივუდის ცნობილი მსახიობი, კურტ რასელის მეუღლე (**6**). 24. ერთგვარი პატარა ჩიტი (**7**). 25. რა სახელი აკავშირებს იტალიასა და სვანეთს? (**6**). 26. ძლიერ პოპულარული პიროვნების თანამდევი აკუსტიკური ეფექტი (**7**). 27. უმაღლეს თანამდებობრივ პირთა პასუხისმგებლობის სასამართლოებრივი განხილვა ზოგიერთ ქვეყანაში (**6**). 28. სწრაფი ტემპით შესასრულებელი მუსიკალური ნაწარმოები (**6**). 29. სატოტალიზატორო ცნება (**4**). 30. ქრისტეანობის ერთ-ერთი განშტოების წარმომადგენელი (**3**). 31. საბჭოური ეპოქის პოპულარული მაცივრების მარკა (**6**). 32. ჩვენსწელთაღრიცხვამდელი II-I პირველი საუკუნეების რომაელი მხედართმთავარი, რომელიც ფუფუნებითა და „ნადიმებითს“ სიყვარულით შევიდა ისტორიაში (**10**). 33. „ამაოდ დამაშვრალი“ კორინთოელი მეფე (**6**). 34. იაპონური სალექსო ფორმა (**7**). 35. კორეის ფულის ერთეული (**7**).

**02-40** ქულა – კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.
**41-80** ქულა – მე-2 თანრიგი.
**81-120** ქულა – 1-ლი თანრიგი.
**121-150** ქულა – ოსტატი.
**151-180** ქულა - კროსმაისტერი.
**181-198** - ბრავო, მაესტრო!
**200** ქულა – კროსვორდი თქვენ შეადგინეთ!
*პასუხები მე-14 გვერდზეა*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | | 13 | | 25 | |
| 2 | | 14 | | 26 | |
| 3 | | 15 | | 27 | |
| 4 | | 16 | | 28 | |
| 5 | | 17 | | 29 | |
| 6 | | 18 | | 30 | |
| 7 | | 19 | | 31 | |
| 9 | | 20 | | 32 | |
| 10 | | 21 | | 33 | |
| 11 | | 22 | | 34 | |
| 12 | | 23 | | 35 | |
| 13 | | 24 | | | |

# (შეწყვეტილ) საკროსვორდო ჩემპიონატში მონაწილეთა საყურადღებოდ

გაზეთი დასაბეჭდად თითქმის მზად იყო, როცა ჩვენ მესამე ტურის პასუხები მოგვიტანეს; სულ კი ჩვენამდე 66-მა პასუხმა მოაღწია, რომელთა შორის ერთადერთი იყო ისეთი, სადაც აბსოლუტურად ზუსტად იქნა გაცემული პასუხები ჩვენს დავალებაზე. ეს აღმოჩნდა მაია გეგია და, დაპირებისამებრ, ჩვენ მას გადავუხდით 10 ლარს (ქ-ნ მაიას ვთხოვთ დაგვიკავშირდეს ტელეფონით). იყო აგრეთვე ხუთი ისეთი ვარიანტი (ქევანიშვილი, ჯახველაძე, ჩაჩანიძე, ბუქლულაშვილი, მიქაძე), რომელთა ავტორებს შეეშალათ ერთადერთი სიტყვა, უფრო სწორად აღარ გადაამოწმეს და № 10-ში ჩაწერეს „პენიტენციალური“, არადა „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ (გვ. 377, 1989 წლის გამოცემა) დაფიქსირებულია „პენიტენციარული“ (პენიტენციარ-ი – (ლათ.) poenitentiarus, მონანიებული). სამწუხაროდ, ეს ერთი შეცდომა მათი პასუხების აბსოლუტურობის შემბღალვის მიზეზი გახდა.

გასულ ნომერში როგორც მოგახსენეთ, ჩვენ ჩემპიონატი შევწყვიტეთ გარკვეული ობიექტური და სუბიექტური მიზეზებისა გამო, რომელთა გახსენება აღარ გვსურს. ალბათ, დამნაშავენი პირველ რიგში ჩვენ ვართ, რომ ზუსტად ვერ გავთვალეთ ჩემპიონატის საპრიზო ფონდით მანიპულირება, რის გამოყენებასაც „გარკვეული“ მიზნებით შეეცადნენ „გარკვეული“ პიროვნებები.

კიდევ ერთხელ ვუხდით მადლობას ყველა მონაწილეს ყურადღებისათვის და ამასთანავე ვიხდით ბოდიშს ჩემპიონატში მონაწილე ჩვენი ძველი თუ ახალი ნაცნობების წინაშე ტურნირის შეწყვეტისა გამო და გამოვთქვამთ იმედს, რომ მსგავს ავანტიურაზე აღარასოდეს წავალთ.

**ალექსანდრე ელერდაშვილი, 20.02.2000**

*უახლოესი ნომრიდან!*

# „ფანტაზიის“ საკროსვორდო ენციკლოპედია

*მალე დავიწყებთ ჩვენი დიდი ხნის განზრახვის სისრულეში მოყვანას, ანუ საკროსვორდო ენციკლოპედიის თანდათანობით შექმნას და ბეჭდვას. ეს, ალბათ, თავისი სპეციფიურობისა გამო, იქნება ყველაზე სრული საძიებელ-განსამარტი საშუალება, რაც კი ჩვენს ენაზე შექმნილა, რადგან მასში ჩავრთავთ პრაქტიკულად ყველა ქართული ენციკლოპედიის და ლექსიკონის მონაცემებს, როგორებიცაა: „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, „სიტყვის კონა“, „მითოლოგიური ლექსიკონი“, „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“ და ა.შ. „ფანტაზიის“ საკროსვორდო ენციკლოპედიაში გათვალისწინებული იქნება რუსული და ინგლისური კომპიუტერული ენციკლოპედიების ლექსიკური მარაგიც* ***(Большая Энциклопедия Кирилла и Мефодия, Энциклопедия Кино, Рок-Энциклопедия Зарубежной Музыки, ENCARTA Encyclopedia, GROLIER, CINEMANIA)*** *ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რითაც ჩვენ ვსარგებლობთ კროსვორდების შედგენისას თუ სხვა ნებისმიერი მასალის დაწერისას. გარდა ამისა, შევეცდებით საკროსვორდო ენციკლოპედიაში ჩავრთოთ ზეპირმეტყველებაში ხმარებული ადმოსავლური წარმოშობის ლექსიკა, ჟარგონული გამონათქვამები, ლიტერატურული თუ სხვა სახის მხატვრული ნაწარმოებების სათაურები და პერსონაჟები და ა.შ. ტექსტს, შეძლებისდაგვარად, ილუსტრაციებსაც დავურთავთ. სხვათა შორის მსგავსი რამ არსებობს რუსულ ენაზე (რომელიც ჩვენს ბიბლიოთეკაშიც ინახება), ინგლისურ ენაზე და ბულგარულ და სპარსულ ენებზედაც კი (თავად გვინახავს). აქვე, წინასწარ, მოსალოდნელი პოლემიკური წიაღსვლების თავიდან ასაცილებლად უნდა განვაცხადოთ, რომ ეს არ იქნება მეცნიერული ნაშრომი, ამდენად არც რაიმე განსაკუთრებული პრეტენზიებით ალიჭურვება.*

# შეყვარებულები

1. ლეგენდარული ბერძენი მოქანდაკე, რომლის სახელიც განზოგადდა, როგორც საკუთარ ქმნილებაში შეყვარებული ადამიანი. 2. შეყვარებულია შემქმნელები, რომლებიც ხშირად თავადვე უშლიან ხელს საკუთარ ქმნილებათა ბედნიერებას. 3. შეყვარებულის „შმაგი" სახესხვაობა. 4. ფრანგი კინორეჟისორი, შემქმნელი ფილმისა „შეყვარებული მამაკაცი". 5. სივრცე, სადაც შეყვარებულს მაინც ვერ ჩაჭყვები, მიუხედავად დიდი „გარდარეულობისა". 6. ქართველი კინორეჟისორი, შემქმნელი ფილმისა „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი". 7. იაპონელი დრამატურგი, ავტორი პიესისა „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე" 8. იხილეთ ფოტო და გაიხსენეთ ამ შეყვარებული წყვილის კინოთავგადასავლის შემქმნელი. 9. როგორი სიყვარული გახდა მიზეზი ოთარაანთ ქერივის ერთადერთი ვაჟის სიკვდილისა? 10. ეს არის, ალბათ, ერთადერთი შეყვარებული პერსონაჟი მსოფლიო ლიტერატურაში, რომელიც, მისი შემქმნელის ნებით, სიყვარულშიაც კი გონიერებას ინარჩუნებს... ვინ იგულისხმება? 11. როგორი წარმოშობისაა ეს ფრაზა: „შემოგხედე, დაგინახე, დავღჩი ღორის ქონივითა"-ო? 12. რომელი ანსამბლი მღეროდა – „...შეყვარებულთა ქუჩაზე უცებ რომ გამოუდარა"-ო? 13. რა არის ეს – „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია"-ო? 14. რუსი კინორეჟისორი, შემქმნელი ფილმის „რომანსი შეყვარებულებზე". 15. პოპულარული რუსი მსახიობი ქალი, მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „პირველი სიყვარული". 16. მსახიობი, რომლის პერსონაჟმა ერთხელ ლამის ხელი შეუშალა შეყვარებული ბელა მირიანაშვილის და მალხაზ გორგილაძის პერსონაჟებს ბედნიერებაში.

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ი | კ | ა | ძ | ე | ვ | ს | კ | ი | პ | ი | ა | ძ | ე | ა | ზ |
| რ | ი | ვ | კ | ი | ო | ლ | ა | ჩ | ნ | გ | ი | რ | ა | ქ | ი |
| შ | ე | ლ | ე | ლ | ი | ლ | შ | ი | ო | მ | ა | ლ | ი | ო | ნ |
| ც | ხ | ი | ი | ვ | ე | რ | რ | ლ | კ | | | | | | |
| ა | მ | ვ | ა | ლ | ფ | ი | ო | ე | რ | | | | | | |
| მ | უ | ა | გ | მ | ა | ა | ლ | კ | ი | | | | | | |
| ა | კ | ი | ჩ | შ | ს | მ | ი | ლ | ფ | | | | | | |
| ი | რ | ე | ი | ო | ბ | ლ | ჯ | ო | ე | | | | | | |
| ტ | რ | ი | მ | ა | ჟ | ე | ნ | ფ | ძ | | | | | | |
| ი | ვ | უ | დ | ნ | ლ | ბ | უ | | | | | | | | |
| ო | ა | ფ | ი | ა | ა | ი | რ | | | | | | | | |
| ვ | რ | ო | ლ | თ | ვ | ა | ი | | | | | | | | |
| ა | უ | მ | ი | ვ | ა | რ | მ | | | | | | | | |



ეს ყმაწვილი ისე ასრულებს ფუფუნებაში ჩამხრჩვალი მილიონერების და კეთილშობილი რაინდების როლებს, თითქოს მთელი ბავშვობა მხოლოდ იმაში გაატარა, რომ ემზადებოდა სარაინდო ბრძოლებისა და დედოფლების მოსახიბლავად. მეტსაც ვიტყვით... აკირა კუროსავას ფილმში რიჩარდ გირი პარტნიორებს მხოლოდ იაპონურად ესაუბრებოდა და თანაც თავისუფლად. ხოლო ის, რომ ჰოლივუდის ლამაზმანებს რიჩარდის ხილვისას მუხლები ეკვეთებათ, ამერიკაში ბავშვებისთვისაც კია ცნობილი.







...მაგრამ ასეთი თავბრუდამხვევი ცხოვრება, რა თქმა უნდა, ბავშვობიდანვე არ ჰქონია მას. წარმოშობით იგი ჩეულებრივი, რიგითი ამერიკული ოჯახიდანაა. იგი არის დაზღვევის აგენტის ერთ-ერთი ხუთ შვილთაგანი, მისი წინაპრები ჰოლანდიელი ფერმერები იყვნენ; მან მშობლიურ ფილადელფიაში ერთობ ბანალური ბავშვობა გაატარა. მომავალი ვარსკვლავის აღიარებით, თვით მუსიკის გაკვეთილებსაც კი (არადა, გირი საკმაოდ კარგად ფლობს პიანინოს, ბანჯოს, გიტარას, საყვირს) მის ცხოვრებაში მხოლოდ დაუსრულებელი მოწყენილობა შემოჰქონდა. მაგრამ სიჭაბუკის დადგომისთანავე რიჩარდის ცხოვრებაში ცვლილებების ხანა დადგა. მან მიატოვა ფილოსოფია და ყველაფერი ის, რასაც მასაჩუსეტსის უნივერსიტეტში ასწავლიდნენ და ნიუ-იორკისაკენ გაეშურა. იქ მას არავინ ელოდა, მაგრამ მან სამსახიობო დიდებისაკენ ლამის კბილებით გაიკვალა გზა და 25 წლის ასაკში მასთან აღიარება მივიდა და თანაც ერთხელ და სამუდამოდ. ეს მოხდა ბროდვეიზე დადგმული სპექტაკლის, „მკვლელი თავის", შემდეგ. არადა, გირი ყმაწვილობიდან ერიდებოდა ე.წ. „ბოევიკებს" და მსახიობობისას დიდი ძალდატანებით მონაწილეობდა ამგვარ სანახაობებში. ახლა ხომ საერთოდ არ სურს ძალადობისა და მკვლელობის გაგონება და მრავალმილიონიან შეთავაზებებსაც კი უყურადღებოდ ტოვებს. ეს ყოველივე კი იმით აიხსნება, რომ რიჩარდ გირი თავგადაგებული ბუდისტია; ნამდვილი ბუდისტებისათვის კი, როგორც ცნობილია, ძალადობა მიუღებელია.

* * *

**სინდი კროუფორდიდან დალაი ლამასაკენ.** ბუდიზმი მსახიობის ცხოვრებაში სამსახიობო დიდებასთან ერთად დამკვიდრდა. გირის პირველი სულიერი მოძღვარი ერთი იაპონელი ბერი იყო. სწორედ მასთან შეიგრძნო რიჩარდმა ცხოვრების ნამდვილი აზრი. ახლა მას მოძღვარი, „ოჯახი" და სულიერი სიმშვიდე ტიბეტში ელის და ეს თავად მისი უწმინდესობა დალაი-ლამაა. რიჩარდ გირი მას მარადისობაზე ესაუბრება. ნამდვილი ოჯახი კი, რომელიც გირს გამაოგნებელ სინდი კროუფორდთან ჰქონდა, მეტად ხანმოკლე არსებობისა აღმოჩნდა. „შეუძლებელია ცხოვრობდეთ ერთად და სხვადასხვა გზით დადიოდეთ; სინდიმ ვერაფრით შეძლო იმის გაგება, რომ ბუდიზმი ჩემთვის ყველაფერია"-ო – თქვა განქორწინების შემდეგ რიჩარდმა. და ეს ყველაფერი მშვენივრად ესმის მის ...ახლანდელ მეგობარ ქალს, კერი ლაუელს, რომელიც ბუდიზმმა ბევრად უფრო ადრე გაიტაცა.

**კვლავ ქორწინება – ამჯერად ჯულიასთან.** ...და საერთოდ, რიჩარდ გირი კონტაქტს ამყარებს მხოლოდ იმ ქალებთან, რომლებიც ბუდიზმს აღიარებენ. მათ შორისაა უმა ტურმანიც, ბუდიზმის მოძღვრების თავგამოდებული მიმდევარი. ამბობენ, რომ სწორედ იგი იყო პირველი მიზეზი მისი და სინდის დაშორებისა. მაგრამ ყველაზე საინტერესო სატრფიალო-რელიგიური თავგადასავალი, რა თქმა უნდა, სახელოვან პლეიბო-განდეგილს ჯულია რობერტსთან გადახდა. ყველაფერი კი ბანალური უფულობით დაიწყო და ეს იმ დროს უკავშირდება, როცა ქალების გულთა მიმტაცებელი გირი დერეფნებით მარტოსული და უპოვარი იყო. სწორედ მაშინ მიიწვიეს იგი უცოლო და რომანტიული მილიონერის როლის შესასრულებლად, ანუ ისეთი კაცის განსასახიერებლად, რომელიც ყველა კონკიას ოცნებაა. 80-იანი წლების ამ ყველაზე სენტიმენტალური და შემოსავლიანი ფილმის გადაღებების დროს დაიწყო მთავარი როლის შემსრულებელთა შორის თავაწყვეტილი სიყვარული. ჯულია რობერტსი, რომელიც მანამდე არაფრით ჩამოუვარდებოდა ჩვენი თხრობის გმირს თავქარიანობაში, პატარა გოგონასავით ყურებამდე შეყვარებული აღმოჩნდა. მას რიჩარდ გირის გამოჩენაზეც კი ალმური ასდიოდა სახეზე. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, მათი ქორწინებით დასრულდა, შემდეგ კი განქორწინებით გაგრძელდა... დიახ, გაგრძელდა, რადგან ერთხელ ყველგანმყოფმა პაპარაცებმა განშორებული ჯულია და რიჩარდი ნაზად ხელიხელჩაკიდებულნი დაიჭირეს ერთი მიყრუებული კუნძულის პლაჟზე.

გავიდა რვა წელი „ლამაზმანის" გადაღებიდან და რობერტსი და გირი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს გადასაღებ მოედანზე და ეს ფილმ „გაქცეული პატარძლის" შექმნისას მოხდა. თქმა არ უნდა, რომ პრესისა და პუბლიკის ყურადღება უკიდურესად დაიძაბა და ყველა სენსაციურ ამბებს ელოდა... მით უმეტეს, რომ რიჩარდის ახალი მეგობარი კერი ლაუელი ეჭვიანობის ისტერიას ძლივს იკავებდა. ...და აფრები აუშვა დაოცხრომელმა ჟურნალისტურმა ფანტაზიამ, რათა მრავალი შეკითხვისათვის მოეძებნა პასუხი, რომელთა შორის ერთი რამ აღელვებდა ყველას – დაიბრუნებს თუ არა ჯულია საყვარელ ადამიანს და კვლავ თუ იქორწინებს მასზე?

ასე რომ ზღაპარი, რომელიც „ლამაზმანში" დაიწყო კვლავ გრძელდება და ჯულიას მსგავს მრავალ კონკიას უსახავს იმედს, რომ დადგება ის დღე, როცა აუცილებლად მოვა ლამაზი და მდიდარი პრინცი!

...ღმერთმა ოცნებები აგიხდინოთ, კონკიებო!

*მკითხველთა თხოვნით*

**ამასწინათ „ფანტაზიის" ფრიად სტაჟიანმა მკითხველმა ქალბატონმა სამართლიანი შენიშვნა გამოთქვა იმის თაობაზე,**



**რომ ჩვენ მეტ ყურადღებას ქალბატონებს ვუთმობთ და ნაკლებად ვსაუბრობთ პოპულარულ მამაკაცებზე; გვსურს გავითვალისწინოთ ეს შენიშვნა და გთავაზობთ პატარა ჩანახატს ყველასათვის კარგად ცნობილი მსახიობის, რიჩარდ გირის შესახებ.**

**თარაზულად:** 1. რა აქვთ საერთო ენკეს, შვასმანს და ჰალეის? 4. მოწესრიგებული და დალაგებული ანუ როგორი? 8. საფეხურებად გადმომჩქეფარე ბუნებრივი ან ხელოვნური წყალი. 11. ტროპიკული მცენარე,ე.წ. „საფეიქრო ბანანი". 18. მუსლიმანურ სამყაროში ბიჭუნებთან დაკავშირებული ერთვარი რელიგიური რიტუალი. 19. მკვეთრად გამოხატული სხვაობა, დაპირისპირება. 20. ფინანსური მისიით აჭურვილი მუშაკი. 23. დაკვირვების მეტ-ნაკლები სიზორით გამოწვეული საგნების სიდიდის, ფორმის, მდგომარეობის მოჩვენებითი ცვალებადობა. 24. სპორტული სამჭიდის სახესხვაობა: ცურვა, ველორბოლა, კროსი. 25. ზევსისა და დანაეს ვაჟი, ანდრომედას მეუღლე. 29. გათვლილ-გაანგარიშებული და განსახორციელებელ-განხორციელებადი ქმედება. 30. **იხილეთ ფოტო**. 31. პოპულარული უალკოჰოლო სასმელი. 32. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი პოზიცია. 36. XX საუკუნის უდიდესი ქართველი მწერალი. 37. უსულო სხეული. 38. საფოსტო გზავნილი. 43. XX საუკუნის ინგლისელ-ამერიკელი პოეტი. 44. ანტიპიპერტონული პრეპარატი. 45. მაღალჩინოსანი სუბიექტის თანმხლებ პირთა ჯგუფი. 46. გულზე „დასადგომი" ერთ-ერთი „ეროვნული" საშუალება. 51. ოსკარ უაილდის მთავარი ნაწარმოების მთავარი გმირი. 52. შიშველი, წვეტებიანი კლდე. 53. ის სჭიდება მუსიკოსსაც და ზეინკალსაც. 54. ფრინველის ბუმბულის აღმნიშვნელი სხვა სიტყვა. 58. ზმნასთან დაკავშირებული გრამატიკული კატეგორია. 59. ის, რაც სიტყვა „ინდიანას" ხსენებისას უმალ გაახსენდება კაცს. 60. როგორი თხზულებების წერა უყვართ ძმებ სტრუგაცკებს? 61. საჭადრაკო ქმედება. 66. სიკვდილისწინა მდომარეობა. 67. მუსიკალური ნიშანი. 68. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი. 69. ქსოვილის დამამშვენებლი საშუალება. 70. თანამედროვე ინგლისელი დიდოსტატი მოჭადრაკე. 75. მომსახურების სფერო ანუ რა? 76. ასპარეზი, სადაც რაღაც ბურთებს გაგორებით უმიზნებენ რაღაც ფიგურებს... და ერთობიან მათი დავარდნით. 77. მტრის ზურგში გადასმული მებრძოლთა რაზმი. 82. ქართული თარგმანი ჭაბუა ამირეჯიბის ცნობილი რომანის რუსულვარიანტული სათაურისა. 83. ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებული აზრთაფრქვევა. 84. ქალაქი ბულგარეთში. 88. „ცხელი იარაღის" შემადგენელი ნაწილი. 89. სახელი. რომელიც 1975 წლამდე ერქვა სახელმწიფო ბენინს. 90. ერთი მრავალრიცხოვანი რუსული რელიგიური სექტის წარმომადგენელი. 91. უშფოთველი და დამამშვიდებელი (ანუ როგორი?) ყოფა. 95. გამორჩენის სურვილი, წვრილმანი ანგარიშიანობამ რამაც ჩვენი ნაქები რაინდული ბუნებაც საფუძვლიანად შეარყია. 96. ქალაქი რუსეთში. 97. მღვდელმსახურთა საგანგებო საზეიმო სამოსი. 98. (ქალბატონი) თეალჭრელიძე, ცნობილი ქართველი კინომცოდნე. 103. გოგის „მეგობარი". 104. ჩვენთვის ყველაზე კარგად ნაცნობი ინდოელი მეფე. 105. „ტარას ბულბაც", „მატეო ფალკონეც", „ხევისბერი გოჩაც". 106. ჩიტი-ჩიორას თავგადასარჩენი საშუალება. 110. მხოლოდ ვულკანთან დაკავშირებული ცნება. 111. ბენზინზე მომუშავე ერთგვარი ქურა. 112. მათ 429-439 წლებში ჩრდილოეთი აფრიკა დაიპყრეს, 455 წელს რომი დაარბიეს და პრაქტიკულად მოსპეს ანტიკური კულტურა... 117. მოკრივისათვის ჩვეული ერთგვარი დარტყმა. 118. ასე ვთქვათ, „რუსული ჭიდაობა". 119. მოზრდილი განიერი ნავი ტვირთის გადასაზიდად. 120. რა გახსენდებათ წყნეთის, კიკეთის, ოქროყანას ხსენებაზე... ზაფხულის გარდა? 125. რა ჰქვია ახლო წარსულის ცნობილ რუმინელ ჩოგბურთელს, ნასტასეს? 126. საკულტო-რელიგიური დანიშნულების ნაგებობა. 127. ადამიანის სამარადისოდ დასაბინავებელი „ნაგებობა". 128. რელიგიური დოგმატების გამამართლებელი ფილოსოფიური მოძღვრება შუა საუკუნეებისა. 132. პოსტკომუნისტურ სივრცეში გავრცელებული ყველაზე პოპულარული „ტიტული" პოლიტიკოსისა. 133. წერილობითი კოლექტიური თხოვნა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისადმი. 134. დიდი რუსი მეცნიერი-ფიზიოლოგი. 135. თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი მოქმედი ვულკანი. 140. სპარტაკ ბაღაშვილის პერსონაჟი „თეთრ ქარავანში". 141. ახლო წარსულის თბილისის „დინამოს" კალთბურთელთა გუნდის წევრი, ამჟამად მწვრთნელი. 142. ერთგვარი პოპულარული ქსოვილი. 143. ბუჩქოვანი და ბალახოვანი მცენარეების წვრილი ნაყოფი. 147. რა არის კვებეკი თავის არსით კანადის ფარგლებში. 148. როგორი ზრახვები ამოძრავებს გაძლიერებულს დასასუსტებელის მიმართ? 149. ბლუზის ტრადიციებზე აღმოცენებული, შავკანიანთა შორის გავრცელებული მუსიკალური ჟანრი. 154. ხმის გასაძლიერებელი საშუალება. 155. გამჭვირვალე ნახატების მქონე გამომწვარი ფაიფურის დეკორატიული ნაკეთობანი. 156. ქალაქი ბულგარეთში. 157. მომღერალი – თავისი არსით. 158. საბჭოური ტელევიზორების პოპულარული მარკა. 159. სასულიერო სასწავლებელი.

**შვეულად:** 1. ანა ფრანკის მეგობარი. 2. ქალაქი მექსიკაში. 3. საიდუმლო დანიშნულების ინვენტარი. 5. გეომეტრიული „ფუნქციით" აღჭურვილი ერთ-ერთი ხაზი. 6. კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. 7. მთავარი ქრისტიანული მღვდელმსახურება, ჟამისწირვა. 9. ამა თუ იმ ხელობის ადამიანთა გაერთიანება. 10. (მადამ) დურბინი წარსულში პოპულარული ჰოლივუდელი მსახიობი. 12. XIX ს გერმანელი კომპოზიტორი. 13. შუა საუკუნეების ინგლისის დიდი ისტორიული პირი. 14. IV საუკუნის რომაელი ისტორიკოსი, მარკუს სექსტუს.... 15. ფოსტალიონის როლის შემსრულებელი ფილმში „მე ვხედავ მზეს". 16. გარკვეული სიმაღლის ბგერების გამომცემი ფოლადის ორთითა ხელსაწყო. 17. ირეალური ქვეყანა, რომელიც ჯონათან სვიფტის ფანტაზიამ შექმნა. 21. იგივე ფაქსიმილე, ოღონდ სამახსოვრო მიზნებით შექმნილი. 22. შავიზღვისპირა კურორტი კრასნოდარის მხარეში. 26. გახსოვთ, ალბათ, ფილმი „მოჩვენება" დემი მურისა და პატრიკ სუეიზის მონაწილეობით... ვინ ასრულებს ზანგი მკითხავი ქალის როლს იქ? 27. შექსპირის ერთ-ერთი „რომაული ტრაგედია". 28. უცნაური გვარის მქონე თანამედროვე რუსი მუსიკოსი, იური.... 33. ჩვეენებური სამოსი. 34. რაიმე გამოსაცემი წიგნის მინაარსი, დაწერილებითი გეგმა. 35. ყურადღების ცენტრში მყოფი, დომინირებული. 39. საბჭოეთში დიდად პოპულარული ამერიკელი მწერალი ქალი. 40. ესპანეთის პირენეების უმაღლესი მწვერვალი. 41. ცნობილი არგენტინელი მწერალი. 42. ქალაქი, რომელიც საფრანგეთის მასშტაბით გრენობლის „კოლეგაა" ერთი გარკვეული ფაქტის გამო. 47. „ცხელ იარაღზე" დამატებული „ცივი იარაღი". 48. მხოლოდ კრემლის საათების „ინვენტარი". 49. დიდი ქრისტიანული მონასტერი. 50. იდეალისტური მიმართულება ბიოლოგიაში, რომელიც სიცოცხლის მოვლენების ახსნას რაღაც განსაკუთრებული „სასიცოცხლო ძალის" არსებობით ცდილობს. 55. სიგრძის საზომი ერთეული. 56. FIFA-ს ხელმძღვანელი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჟოაო აველანჟამდე. 57. (კიდო!) სიგრძის საზომი ერთეული. 62. სადაური იყო დ'არტანიანი? (რა ადვილი კითხვაა, არა?). 63. XIX ს ფრანგი მწერალი, ალფრედ დე.... 64. ეგვიპტის ფარაონ ამენჰეტოპ IV-ის ცნობილი მეუღლე 65. ოთარ იოსელიანი ფილმი. 71. ადოლფ ჰიტლერის საყვარელი ქალი (სახელი და გვარი). 72. სადაური იყო ჯომოლუნგმას პირველი დამლაშქრავი ნორგეი თენცინგი? 73. ძალზედ ძველი ანუ როგორი? 74. უკმაყოფილების გამოხატვის სახესხვაობა. 78. თანამედროვე დიდი ამერიკელი კინორეჟისორი. 79. ფინური მუსიკის კლასიკოსი. 80. რა შეიძლება გადაეკრას თვალს? 81. მაღალჩინოსანი სამხედრო პირის თანაშემწე. 85. ქართული ღვინის სახეობა. 86. რა არის ხუნტა თავისი არსით? 87. კაკო ვამალომიძეც, თემურ ყვითელაშვილიც და ანდრეს სეგოვიაც. 92. ჩრდილოური ზღვის ერთ-ერთი სრუტე სკანდინავიის ნაპირებთან. 93. დაახასიათეთ მორიელის ქცევა ცნობილი იგავ-არაკიდან ერთი სიტყვით. 94. ალექსანდრ ჩაკოვსკის ხუთწიგნიანი რომანი-ეპოპეა. 99. რას ნიშნავს რუსული „ябеда" ქართულად. 100. ბერძნული სიტყვა წინსართი, რომელიც „სახელს" ნიშნავს. 101. მხატვრის გაკეთებული ფორმიდან გადაღებული ანაბეჭდი. 102. ჰიტლერელთა ელვისებური გეგმა საბჭოეთის დაპყრობისა. 107. უძრავი ანუ როგორი? 108. აგრესიის განუხრელი გაძლიერების, გაფართოების გეგმა. 109. თანამედროვე რუსი კინომსახიობი ქალი, ვერა.... 113. ჩაკეტილი კონტურის სიგრძე. 114. (ქალბატონი) ხაინდრავა, ჩვენი შესანიშნავი მსახიობი. 115. არასასიამოვნო ხმის დასახასიათებელი ერთ-ერთი სიტყვა. 116. მზის ხილული სამოძრაო ცის სფეროს დიდი წრე. 121. ვაშინგტონის შენობა, რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობს. 122. ქალაქი „მოწყვეტილ" რუსეთში. 123. სიღრმის ავტომატურად გასაზომი ხელსაწყო. 124. ცნობილი ბერძენი ტრაგიკული ამპლუის მსახიობი ქალი. 129. რა დაამკვიდრა ვახტანგ-VI-ემ საქართველოში. 130. რა ჰქვია ცნობილი რომანის, „ბათა ქექიას" ავტორს? 131. დაბალი და მსუქანი ანუ როგორი? 136. გარეგნულად სხვა სიტყვის მსგავსი სიტყვა. 137. გერმანიის ბუნდესლიგის საფეხბურთო კლუბი. 138. შოლომ ალეიხემის ცნობილი რომანის მთავარი პერსონაჟი. 139. „რწმენის მეცნიერება" ანუ რა? 144. ძაფისათვის დამახასიათებ[illegible] ერთგვარი „პოზიცია". 145. ყმაწვილი, რომელმაც სიმღერას თოჯინები არჩია. 146. XIX საუკუნის ბულგარელი პოეტი-რევოლუციონერი. 150. „სასოფლო ინჟინერიის" წინსართი. 151. ჩვენში ქალ-კაცის სახელთა შემცველელი უნივერსალური სახელი. 152. ჭურჭლის სარეცხი საშუალება. 153. ჩვენს ზღაპრებშიც შემოხეტებული აღმოსავლელი მოსამართლე.



**შეადგინა**
**ალექსანდრე ელერდაშვილმა**



# ფანტაზიორი

ინტელექტუალური ტესტი
რუბრიკას უძღვება
ვახტანგ ელერდაშვილი
პასუხები — მე-12 გვერდზე

კითხვა №1

...საერთოდ ეს ბერძნული სიტყვაა, მაგრამ ჩვენს ერთ-ერთ სკოლაში ამ სიტყვას ერთ-ერთმა მოსწავლემ საკმაოდ ორიგინალური პასუხი მოუძებნა: „ეს არის საშუალება, რითაც ცისა და დედამიწის შეერთების ადგილს სწავლობენო...“

**რა სიტყვა განმარტა მან ასე? (7 ქულა)**

კითხვა №2

...ყველას გახსოვთ (პარმენის შეკვეთის გარეშე) „უდიპლომო“ ბიჭიკოს მიერ შექმნილი „მექანიკური“ საფრთხობელა, მაგრამ თურმე მას (ბიჭიკოს) დიდი წინაპარიც ჰყოლია XVIII საუკუნეში მცხოვრები ფრანგი მექანიკოსის ვოკანსონის სახით. ამ უკანასკნელს შექმნილი აქვს მექანიკური მწყემსი, რომელიც თავად უკრავდა სალამურზე, მექანიკური იხვი, მექანიკური გველი, რომელიც სისინით კბენდა ყველას, ვინც ხელს მოკიდებდა და ა.შ.

**მაინც რომელი დაწესებულების შეკვეთით ქმნიდა ვოკანსონი ამ ქმნილებებს? (9 ქულა)**

კითხვა №3

1903 წელს ალბერტ აინშტანმა თავის ყოფილ თანაკურსელ მილევა მარიჩზე იქორწინა; საქორწინო კონტრაქტში პატარძალმა სპეციალურად ჩააწერინა პუნქტი იმის თაობაზე, რომ ერთი გარკვეული მოვლენის შემდეგ ფულის ნახევარს აინშტაინის მეუღლე მიიღებდა...

**რა მოვლენას ელოდა მილვა მარიჩი? (8 ქულა)**

კითხვა №4

მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას ინგლისელ მფრინავებს მეტად უჭირდათ მოკავშირე და ფაშისტური თვითმფრინავების ერთმანეთისაგან გარჩევა; ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად დიდი ბრიტანეთის არმიის ხელმძღვანელობამ სპეციალური შეკვეთა მისცა შესაბამის ორგანიზაციას, რათა დაემზადებინათ ის შესაბამისი სპეციალური რამ, რაზედაც მაშინ არსებული ყველა თვითმფრინავის სილუეტი იყო გამოსახული...

**გაიხსენეთ რა იყო ეს სპეციალური „რამ“ იმის გათვალისწინებით, რომ „ის“ ყველა ჩვენთაგანს ბევრჯერ გვჭერია ხელში, რომ აღარაფერი ვთქვათ ინგლისელ მფრინავებზე? (7 ქულა)**

კითხვა №5

მიუხედავად იმისა, რომ როდეო წმინდა მამაკაცური სპორტია, კანადაში შექმნილია სპეციალური ფედერაცია „ქალთა როდეოსი“, რაშიც გაერთიანებულნი არიან 8-დან 60 წლის ასაკამდე წევრები...

**რა პრინციპული განსხვავებაა ქალურ როდეოსა და მამაკაცურ როდეოს შორის? (10 ქულა).**

კითხვა №6

ეს არის ტრადიციული თავის დახრა მსახიობისა როლის დასრულების ან ხელმეორე გამოძახებისას სცენაზე პუბლიკის წინაშე; ფრანსუაზ საგანი კი თვლის, რომ ეს ერთადერთი საშუალებაა, რასაც შეუძლია ქალის შრომის ნაყოფიერება გაზარდოს ორჯერ ნებისმიერ სფეროსა. და სიტუაციაში...

**დაასახელეთ ეს საშუალება ერთი სიტყვით? (8 ქულა)**

კითხვა №7

ფრანსუა ლაროშფუკომ თქვა — ის, ვინც ფიქრობს, რომ შეუძლია სხვების გარეშე იცხოვროს, დიდ შეცდომაში შედის....

**ვინ ცდება ამაზე უფრო მეტად, ლაროშფუკოს აზრით? (10 ქულა)**

კითხვა №8

პირველად ის ევროპაში გამოჩნდა და საბრძოლო ველზე, სადაც რაინდებს სახე ნილბით ჰქონდათ დაფარული, ადამიანთა ურთიერთგარჩევის საშუალება იყო; ყოველი რაინდი თავს მოვალედ თვლიდა, რომ ის ჰქონოდა. ის ჩვენს დრომდე შემორჩა, მაგრამ ახლა წმინდა დეკორატიული მიზნებით გამოიყენება.

**რა არის ეს? (7 ქულა)**

კითხვა №9

სენტ-ეკზიუპერის აქვს ერთი მოგონება იმის თაობაზე, რომ მან მას, როგორც სამხედრო მფრინავს, სიცოცხლე შეუნარჩუნა, როცა იგი მოყვრებმა მტრად ჩათვალეს. ჰიუგო მას ზამთრის დამამარცხებელ მზეს უწოდებდა. მისი უნიკალური გამაბრწყინებელი და დამამშვიდებელი თვისებები ბავშვებისთვისაც ნაცნობია.

**რა არის ეს? (7 ქულა)**

კითხვა №10

32-ში მას შეუძლია სერიოზული მამაკცების გატაცება; 36-ში მხოლოდ „სულელებს“ იტაცებს; 52-ში კი, რაც მისი სისრულის აღიარებაა, ის მზად არის ყველას მარტოობა განუქარვოს და თამამად ერთვება სპორტსმენთა ასპარეზობაშიც კი...

**რა არის ეს? (10 ქულა)**

კითხვა №11

ანეკდოტი:

კაცი თავის მეგობრებს უყვება: წარმოგიდგენიათ — ამ დილას ვიღვიძებ და ჩემსკენ ცხენი მოფრინავს და თავში მიბრახუნებს... ბუ-ბახ! დავვარდი, წამოვდექი და... ჩემსკენ მანქანა მოფრინავს და ისიც მირტყამს... ბუ-ბახ! ისევ წამოვდექი და... ახლა თვითმფრინავი მოფრინავს და ისევ... ბუ-ბახ! უკანასკნელად რომ წამოვწიე თავი, პირდაპირ რაკეტა დამეჯახა!...

მეგობრები: — „იტყუები!... იტყუები!...“

— თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ იმ კაცს ვინც ყიდის...

**რას? (9 ქულა)**

კითხვა №12

ერთხელ ვინმე კარმენ გელდმახერმა ჩეხეთიდან წერილი მისწერა „გინესების რეკორდების წიგნს, სადაც სთავაზობდა მათ, რომ იგი შეეყვანათ ამ წიგნში, როგორც უმოძრაობის რეკორდსმენი.

**ვინ იყო პროფესიით ამ წერილის ავტორი, თუ წერილზე თანდართული იყო მხატვრების სია? (8 ქულა)**

## შევაჯამოთ ქულები

**20** ქულამდე — ეს მხოლოდ დასაწყისია!...

**21-35** ქულა — თქვენი ცოდნა გარკვეულ სრულყოფას საჭიროებს.

**36-50** ქულა — თქვენი ცოდნა და ინტუიცია ჰარმონიაშა მოსაყვანი.

**51-70** ქულა — თქვენი ცოდნის უკან სათანადო ინფორმაციული მხადაჭერა არ დგას.

**71-80** ქულა — ჩვენ ვამაყობთ, რომ ასეთი მკითხველები გვყავს.

**81-94** ქულა — დიდებული შედეგია! მიიღეთ მონაწილეობა ინტელექტუალურ თამაშებში.

**95-100** ქულა — გეთანხმებით, რომ ძნელი კითხვები იყო და პასუხების ნახვა აუცილებელია!

# გინესების რეკორდების წიგნი

## ხელოვნება ტელევიზია

### სატელევიზიო კომპანიები ყველაზე ძვირადღირებული ტელეგადაცემა

„ეი-ბი-სი“-ს მინისერიალი „ომი და ხსოვნა“ 110 მლნ. დოლარი დაჯდა და მას 3 წლის განმავლობაში იღებდნენ. ის 14 სერიისაგან შედგებოდა და აშშ-ში ტელეკომპანია „ეი-ბი-სი“-ს მიერ იქნა ნაჩვენები.

### ყველაზე დიდი სატელევიზიო კონტრაქტი

ოპრა უინფრიმ 146 მლნ. დოლარი გამოიმუშავა 1994-95 წლებში. 1994 წლის მარტში მან ხელი მოაწერა კონტრაქტს, რომელიც 2000 წლის 31 დეკემბრამდე მის კომპანია „ჰარლოუს“ 300 მილიონ დოლარს მოუტანს, ანუ 46 150 მილიონ დოლარს ყოველწლიურად ექვს-ნახევარი წლის განმავლობაში.

### ყველაზე დიდი სატელევიზიო გარიგება

„გრენადა ტელევიჟიმ“ 1971 წლის 31 მაისს მიჰყიდა „კორონეიშენ-სტრიტის“ სერიების რეკორდული (1144) რაოდენობა „სი-ბი-კეი-ესტი სასკატუნს“ (კანადა). ეს იყო 20 დღეღამის განუწყვეტელი მაუწყებლობის მასალა.

### ყველაზე ხანგრძლივი გადაცემა

„ბი-ბი-სი“-ს გადაცემა „საუზმის დროს“ სულ თხუთმეტჯერ იყო გასული ეთერში (1983 წლის 17 იანვრიდან), როცა გამოჩნდა მისი კონკურენტი დილის პროგრამა „ტვ-უტრო“ რუსეთში და ეს 1983 წლის 1 თებერვალს მოხდა.

## (შეწყვეტილი) საკროსვორდო ჩემპიონატის მესამე ტურის პასუხები



# უბრალოდ კროსვორდი



**თარაზულად** 1. გენიალური ფრანგი მოქანდაკე. 4. XX საუკუნის დასაწყისის რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე. 8. ჩეხეთის საფეხბურთო კლუბი. 13. კოლმეურნის სანუკვარი ოცნების საგანი. 14. ამაშუკელიც და ბერძენიშვილიც. 15. ფრინველიც და საქართველოს ავიაკომპანიაც. 18. შელახული რეპუტაციის აღდგენა. 19. აღგილობრივი მოსახლე. 22. აშშ-ს კუთვნილი კუნძული წყნარ ოკეანეში. 23. ამაზონის წარმომქმნელი მდინარე. 24. ფულის შემოღებისას; როგორც წესი, უმცირეს ერთეულად მისი ღირებულებას იღებენ. 28. ძველრომაელთა სამოსი. 29. რა სიტყვათშეთანხმება მოსდევს „ვერის უბანს“ ქართულ კინოში? 30. ჟან რენოს მიერ განსახიერებული ამერიკული კინოს პერსონაჟი, რომლის ერთადერთი მეგობარი კაქტუსი იყო. 34. ჩრდ.-დას. აფრიკის სახელწოდება. 35. ელბაც, კამაც და კონგოც. 36. გენადი ხაზანოვის მიერ გახმოვანებული ცნობილი მულტპერსონაჟი. 40. „პალმოლივის“ შემადგენელი ზეთი. 41. პაბლო პიკასოს ნახატი. 42. უდიდესი იტალიელი მსახიობი ქალი. 45. რიგელი მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში. 46. ძველი რომიც, ბიზანტიაც და..... საბჭოთა კავშირიც. 47. რომელიმე კიდურის მოკვეთა. 51. სისხლთან დაკავშირებული ცნება. 52. მუსიკალური ინსტრუმენტი. 53. კუჭის ლორწოვანი გარსის მწვავე ანთება. 56. აშშ-ს შტატი, რომლის გუბერნატორიც იყო ბილ კლინტონი პრეზიდენტობამდე. 57. დიაგნოსტიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ავადმყოფობის ნიშნებს. 61. სცილასა და ქარიბდას შორის მითავსებული სივრცე. 62. მსაჯი რაიმე ასპარეზობაში. 63. რუსეთის საფეხბურთო კლუბი. 67. ხელისგულისა და ლოყის ხანმოკლე და ხმაურიანი კონტაქტი. 68. კომიკურ-მუსიკალური წარმოდგენა, რომელშიც სიმღერები, ლაპარაკი და ცეკვები ენაცვლება ერთმანეთს. 69. ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე. 70. სახელმწიფო აფრიკაში. 74. საქართველოს პირველი ლედი. 75. უნგრული წარმოების ავტობუსი. 76. უმაღლესი სასულიერო წოდება კათოლიკურ სამყაროში. 80. რა უყვარდა ყველაზე ძალიან გურამ დოჩანაშვილისეულ ცნობილ პერსონაჟს, ფოტოგრაფ ვასილი კეკერაძეს? 81. მულტიპლიკატორი. 84. საბრძოლო დანიშნულების თხრილი. 85. საავტომობილო მაგნიტოფონების ფირმა. 86. ჩრდ. ამერიკაში გავრცელებული ცხოველი. 90. ვოლტერის ნამდვილი გვარი. 91. ირანის ისლამური რესპუბლიკის დამაარსებელი. 92. ძველებური მრავალლულიანი იარაღი. 93. მხატვარი, რომელიც ძირითადად ცხოველებს ხატავს. 94. მდებარეობა, ანუ რა? 95. ადამიანებს შორის ურთიერთობის გამფუჭებელი ცალმხრივ ნებაყოფლობითი საშუალება.

**შვეულად** 1. ელექტროძრავის უძრავი ნაწილი. 2. ერთ-ერთ ლიტერატურულ ჟანრში დახელოვნებული მწერალი. 3. ქიმიური ელემენტი, რიგითი ნომერი *11*. 5. რისამე განადგურება. 6. არისტოკრატთა გუნდური თამაში. 7. ნიშანი, რომლითაც ტექსტში საინტერესო ადგილს აღნიშნავენ. 9. 60-იანი წწ ერთ-ერთი უძლიერესი საბჭოთა ფეხბურთელი. 10. ებრაელთა გადასახლება ისრაელში. 11. ტბა ირანში. 12. 30 წლის წინ ჩვენში პოპულარული საესტრადო ჯგუფი. 16. რომში მიწისქვეშ განლაგებული სადგომი, სადაც ლუიჯი ვამპას დამწყვდეული ჰყავდა ბანკირი დანგლარი (ძალიან, ძალიან ცნობილ რომანში). 17. დიდი პოეტი. 20. ქალაქი გერმანიაში, ჰესენის ფედერალური მიწის ადმ. ცენტრი. 21. შეზღუდვა.... იმათებურად 25. რაიმე ქმედების ხელშემწყობი პრეპარატი. 26. მექანიკური ხელსაწყო, რომლის ადგილი ჩვენს სახლებში პიანინოს თავზეა. 27. დაბურული ტყე. 31. გინახავთ, ალბათ, ფილმი „ნიღაბი“ ჯიმ კერის მონაწილეობით? ჰოდა, ამ ფილმის პერსონაჟი ძაღლის სახელი ჩაწერეთ. 32. იშვიათი, უნიკალური რამ. 33. ის, რის გარეშეც კარგი სპექტაკლი ვერ დაიდგმება. 37. როგორია ყოველი განხილვას დაქვემდებარებული რამ? 38. საჯარისო შენაერთი ძველ რომში. 39. როგორია სასიყვარულე ისტორიებით აღსავსე ცხოვრება? 43. მზის ღმერთი ძველ საბერძნეთში. 44. ძველებური ფრანგული ცეკვა. 48. დიდი ფლოტი. 49. რაიმე რეგიონისათვის დამახასიათებელი ეპიდემიური დაავადების მუდმივი არსებობა. 50. ცეცხლის მანიაკალური სიყვარული. 54. ქიმიური ელემენტის ნაირსახეობა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ატომურ ელექტროსადგურებში. 55. დიდი შუშა, რომლის უკან ხშირად ადამიანისებრი თოჯინები დგანან. 58. რაიმე დაწესებულების პირადი შემადგენლობა. 59. პირი, რომელსაც საქმის კეთების ნაცვლად ურჩევნია სიტყვიერი გამოსვლით სხვები გააგზავნოს საქმის საკეთებლად. 60. „გულითადი კავშირი“ ფრანგულად. 64. დაწესებულება, რომელიც ოდესღაც თბილისში მთაწმინდაზე ფუნქციონირებდა და რომელსაც მაიაკოვსკიმ ლექსიც კი მიუძღვნა. 65. ვაჭრობაში მონაწილე პირი. 66. ხელსაწყო, რომელიც მექანიკურად ასრულებს რაიმე სამუშაოს. 71. ფლორენციის რესპუბლიკის ფულის ერთეული (შუა საუკუნეებში). 72. აისედორა დუნკანის მეუღლე. 73. სახელმწიფოში ეკლესიის გაძლიერების მომხრე. 77. არასასიამოვნო ფაქტორი, რომელიც იწვევს ცოცხალ ორგანიზმებში დაძაბულობას. 78. 1999 წლის რუსეთის საუკეთესო ფეხბურთელი. 79. რა უნდა ცურვას, ბოლოკას აზრით? 82. დიღმის ქარხნის სახელწოდება. 83. რადიოსიგნალების მიმღები დანადგარი. 87. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ცხოველი. 88. (.......) უინსლეტი, ჰოლივუდელი მსახიობი. 89. ერთეულოვანი ვექტორი.

**შეადგინა გოგა ტარიელაშვილმა**

## აფორიზმების ანთოლოგია



**129. სიმდიდრე და სიღარიბე** ფული კი არ არის, არამედ თვითშეგრძნებაა....

უცნობი ავტორი

**130. ფული** ეს რაღაც მეექვსე გრძნობაა, რომლის გარეშეც დანარჩენი ხუთი სრულფასოვნებას კარგავს.

სომერსეტ მოემი

**131. ოქრო** არის ლითონი, რომელიც ადვილად შედის ადამიანებთან რეაქციაში და იწვევს მათს დაჟანგვას და დაშლას.

უცნობი ავტორი

**132. ჯიბე** გრძნობათა აკვანია და სინდისის სამარე.

ამბროზ ბირსი

**133. სჯობს** საკუთარი სიმდიდრისა გრცხვენოდეს, ვიდრე საკუთარი სიღარიბით იამაყო.

ჩჟან ჩაო

**134. ადამიანი** მთლად ღარიბი არ არის, სანამ ჯერ კიდევ გაღიმება შეუძლია.

ალფრედ ჰიჩკოკი

**135. თავისუფალია** მხოლოდ ის აზრი, რომელსაც შეუძლია საკვები მოგიტანოს.

ბერტრან რასელი

**136. სიღარიბე** არის მდგომარეობა, როცა ცხოვრების აზრი არსებობაა.

უცნობი ავტორი

**137. დაივიწყე** შენი სიღარიბე, მაგრამ არ დაივიწყო ის, რაც მან გასწავლა.

ს.პესნერი

**138. ბიზნესში** ორი ადამიანი თუ ერთმანეთთან შეანხმებულად მოქმედებს, ერთ-ერთი მათგანი ზედმეტია.

რიგლი

**139. ბიზნესი** ეს არის სხვისი ჯიბიდან ფულის ამოღების ხელოვნება ძალადობის გარეშე.

მაქს ამსტერდამი

**140. ბიზნესის** წარმართვა რეკლამის გარეშე იგივეა, რომ სიბნელეში ქალს თვალს უპაჭუნებდე... თქვენ იცით, რომ აპაჭუნებთ, ქალმა კი – არა...

უცნობი ავტორი

**141. ძუნწის** ცხოვრება კომედიაა, სადაც აპლოდისმენტები მხოლოდ უკანასკნელ მოქმედებაში გაისმის.

ჟ.დიუმო

**142. ადამიანი**, რომელიც ამტკიცებს, რომ ფულს შეუძლია ყველაფერი, ისეთი პიროვნებაა, რომელიც წავა ყველაფერზე ფულის გულისთვის.

ფრანკლინი

**142. ბიზნესი** იგივეა, რაც ველოსიპედით სიარული – თუ არ იმოძრავე, დავარდები.

უცნობი ავტორი

**143. ბიზნესზე** დაფუძნებული მეგობრობა სჯობს მეგობრობაზე დაფუძნებულ ბიზნესს.

როკფელერი

**144. ბანკირი** ის ადამიანია, რომელიც სიამოვნებით გათხოვებს ქოლგას, როცა ცა მოწმენდილია და წაგართმევს იმავე ქოლგას, როცა წვიმს.

მარკ ტვენი

**145. ნორმალურ** საზოგადოებაში მდიდრები მდიდრდებიან საზოგადოებასთან ერთად, დაავადებულ საზოგადოებაში მდიდრები მდიდრდებიან საზოგადოების ნაცვლად.

ა.ი.ლუმელი

**146. მილიონერი** ეს არის კაპიტალისტური შრომის გმირი.

უცნობი ავტორი

**147. ეკონომია** ეს არის ფულის ხარჯვის ხელოვნება ისე, რომ მისგან არანაირი სიამოვნება არ მიიღო.

არმან სალაკრუ

**148. მოდა** ეს არის ხელოვნება, დიდი ფულით სიხარული მიანიჭო პატარა ადამიანებს.

უცნობი ავტორი

**149. მექრთამეებს** უნდა ეშინოდეთ მაშინ, როცა შოულობენ იმდენს, რამდენიც მხოლოდ მათ სჭირდებათ; და თუ იშოვეს იმდენი, რომ სხვებსაც გაუნაწილეს, მათ საშიშარი არაფერი აქვთ.

ციცერონი

**150. სიმდიდრე** უფრო მეტ სიხარბეს წარმოშობს, ვიდრე სიხარბე – სიმდიდრეს.

ფულერი

**151. ნაღდი** ფული არ არის ერთადერთი საშულება ადამიანთა ურთიერთობისა.

თ.კარლეილი

**152. ფრთხილად** იყავით წვრილმან ხარჯებთან დაკავშირებით; პატარა ხვრელს დიდი ხომალდის დაღუპვა შეუძლია

ფრანკლინი

**153. ადვილად** გამდიდრებული არამზადას შვილი შეიძლება იყოს პატიოსანი კაცი, სიძე კი – არასოდეს.

ჟ. ნარდი

**154. ცხოვრებაში** ან უნდა აგროვებდე ფულს, ან უნდა ხარჯავდე... ერთ ადამიანს დრო არ ეყოფა ორივე მათგანის გასაკეთებლად.

სპარსული ანდაზა

**155. ფული** ჭკვიანისთვის საშუალებაა, სულელისთვის კი - მიზანი.

პოლ ლეოტოლი

## მალულა კორკორეიშენი



**თარაზულად:** 1. იგი მფარველობდა ვერგილიუსსა და ჰორაციუსს, შემდეგ მისი სახელი განზოგადდა... რა იგულისხმება? 5. ვარდნასთან დაკავშირებული ფიზიკური ცნება. 11. როგორი ცენტრია იერუსალიმი ზიგადად? 12. მსოფლიო პოლიტიკის მთავარი ფიგურა 1981-89 წლებში. 13. ნოდარ დუმბაძისეული ებრაელი პერსონაჟი. 14. თანამედროვე რუსი კინომსახიობი მამაკაცი (გაიხსენეთ თუნდაც „თეირანი-43“). 15. მის კალამს ეკუთვნის „ფლორენციის ისტორია“ და კომედია „მანდრაგორა“... თუმცა უფრო ერთი ფრთიანი გამოთქმითაა ცნობილი. 16. პრერია, პამპა, პამპასი (თითქმის სავანაც)... – ევროპულზოგადად. 19. ჩვენი ძველებური მუსიკალური ინსტრუმენტი. 21. 1933 წელს იაპონიის სანაპიროების მიწასთან გამასწორებელი. 22. ქათამი სხვის ბოსტანში რომ გადაისეირნებს, რას ყვირიან ხოლმე „იმ სასეირნო ადგილის“ პატრონები? 24. რეჟისორი – პირიევი, მთავარ როლებში ბორისოვა და იაკოვლევი... რომელი ფილმი იგულისხმება? 25. თევზის რბილი ნაწილი – არაჩვენებურად. 26. რაიონული ცენტრი, სადაც, კ.ლორთქიფანიძის თანახმად, რაღაც მოხდა. 28. რუსული ესტრადის ფსევდონიმიანი მომღერალი. 29. ბიჭის მაღალი სასიმღერო ხმა. 32. რომის იმპერატორი პირველ საუკუნეში. 34. ფრანგული ესტრადის გენიალური მომღერალი. 37. უპირატესად საეკლესიო გუნდის ხელმძღვანელი. 39. კონდიტერული ნაწარმი. 41. რა სიტყვა აჩუქა ქართულმა საბანმა ქართულ რკინიგზას? 43. 60-70-იანი წწ უძლიერესი ველოსიპედისტი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი. 44. მე-6 კონტინენტის ფრინველი. 45. შენობის შიდა სივრცეში არსებული ნაგებობა.

**შვეულად:** 1. ვინ იმალება კროსვორდის უკან (სახელი და გვარი). 2. 50-იან წწ შესანიშნავი ქართველი მოჭიდავე, ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. 3. შთამომავლობა – დას. ქართულ დიალექტებზე. 4. ბალნეოლოგიური კურორტი ლვოვის ოლქში. 6. ქალაქი თურქმენეთში. 7. ფულადი ჯარიმის სახესხვაობა. 8. უფლებრივად გათანასწორება. 9. სახის გაქვავებული გამომეტყველება ანუ რა? 10. ტრადიციული ჯაზის ერთ-ერთი ძირითადი განშტოება. 17. კოლონიალური ქვეყნების მფლობელი სახელმწიფო. 18. რა ერქვა ჩვენი ტარიელის, როგორც ამირბარის, რეალურ ცხოვრებისეულ კოლეგას ინგლისიდან? 20. ფსიქიური შეტევა. 23. NBA-ს ცნობილი კალათბურთელი. 27. სახელი ჩვენი დიდი მეცნიერისა, რომელმაც მრავალი სულიერად ავადმყოფი განკურნა. 28. სალებავის სახესხვაობა. 30. ტანსაცმლის შესანახი საშუალება. 31. „ჯუჯა“ წიწილას ნიშნავს და სპარსული სიტყვაა (მერწმუნეთ!), რა არსება შეესაბამება მას ევროპულ ფოლკლორში? 33. თან წასაღები საკვები. 35. ინგლისელი მწერალი ქალი. 36. რუსული ზღაპრული თქმულება. 38. ახალი და ნორჩი... ანუ როგორი? 40. გიორგი შავგულიძის კინოროლი. 42. სიტყვა, რომელიც შვეულ № 33-ს დაედო საფუძვლად.

# სკანდინავიური

## პარასკევი



- იონე პავლე IV
- ფართობის საზომი
- რწყილს დასჭირდა
- მავნე-ბელი
- რკინიგზის სადგური ქართლში
- არარე-ალური ამბავი
- საბჭოთა ბავშვები
- „...... ლაგინა" სააგენტო პავანაში
- დიდი რუსი მომღე-რალი
- ევროპის „ერთი ცალი" მთა
- „ნადი, რუსუდან, ნადი..." (სად?)
- მარცხნიდან ქალის სახელი მარჯვნიდან – კაცის
- ხშირად „ბატონოს" წინაა
- 15 წლის წინ არ ბალონებ-ზე იყო
- კომ-კავშირი
- სკანდინავ. ფეხბურთ. გუნდი.
- ქუთაისი
- ჩვენი ლიტ. სახე-დარი
- ლითონი
- სუფრაზე გადადის
- „დასცხა და წყალი მოსწყ-ურდა"
- იოლი
- საფრანგ. ქალაქი
- უუნარო
- ჰერმი, ეკატერინ-ბურგი
- რუსეთის საინფო-რმაციო გადაცემა
- ჩვენგან მოშო-რებით
- ზედმეტი სიმდიდრე
- ადგილი თეატრში
- 8,90 მ-ზე გადახტა
- „ტიტანიკის" რეჟისორი
- პატარა ზვავი
- ამბი-ციური
- ფულისთვის გამიშვლდა დასწრების უფლება
- ბაში-აჩუკს ეხურა
